13/02/2021

წმინდა სინოდმა განაჩინა, რომ მიტროპოლიტ პეტრეს ქმედებებს სინოდის მღვდელმთავრებისაგან დაკომპლექტებული კომისია შეისწავლის, რომელიც დასკვნას სინოდის სხდომას წარუდგენს

წმინდა სინოდის წევრებმა იმსჯელეს აკრძალვაში მყოფ მიტროპოლიტ პეტრეს (ცაავა) ქმედებებზე. ითქვა, რომ, სამწუხაროდ, იგი ბოროტად იყენებს სინანულისათვის მიცემულ ვადას, მასმედიის საშუალებით კვლავ აგრძელებს დესტრუქციულ ქმედებებს და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და წმინდა სინოდის წევრების წინააღმდეგ ცილისმწამებლურ კამპანიას , – ამის შესახებ ნათქვამია წმინდა სინოდის განჩინებაში.

წმინდა სინოდმა განაჩინა, რომ მიტროპოლიტ პეტრეს (ცაავა) ქმედებებს სინოდის მღვდელმთავრებისაგან დაკომპლექტებული კომისია შეისწავლის, რომელიც დასკვნას სინოდის სხდომას წარუდგენს.

— ipn.ge